კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL
CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI
2021

THE CAUCASUS

BETWEEN EAST AND WEST, II

Historical and Philological Studies in Honour of **Zaza Aleksidze**

კავკასია

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, II

ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი
მიძღვნა **ზაზა ალექსიძის** დაბადების 85 წლისთავისადმი

რედაქტორი	**დალი ჩიტუნაშვილი**
საგამომცემლო ჯგუფი	**ნიკოლოზ ალექსიძე** **ხათუნა გაფრინდაშვილი** **ლანა გრძელიშვილი** **ნათია დუნდუა** **სოფიკო მენთეშაშვილი** **ირმა ხოსიტაშვილი**
გარეკანის დიზაინი	**ვლადიმერ პერანიძე**
დამკაბადონებელი	**თამთა ჯანაშია**

Editor	**Dali Chitunashvili**
Editorial team	**Nikoloz Aleksidze** **Khatuna Gaprindashvili** **Lana Grdzelishvili** **Natia Dundua** **Sophiko Menteshashvili** **Irma Khositashvili**
Book cover design	**Vladimer Peranidze**
Text layout	**Tamta Janashia**

ISBN 978-9941-9730-7-9
DOI:10.51.36.4/26679604.jcpr.2021.v02

© კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2021

შინაარსი

JOST GIPPERT
Preface 11

ნინო აფციაური, ნათია ჩანტლაძე, დალი ჩიტუნაშვილი
ზაზა ალექსიძე – ქრისტიანული კავკასიის ისტორიის დიდი მესაიდუმლე 14

ზაზა ალექსიძე – ბიბლიოგრაფია 18

I. ისტორია, წყაროთმცოდნეობა, ეპიგრაფიკა
History, Source study, Epigraphy

ZAZA ABASHIDZE / ზაზა აბაშიძე
ავტოკეფალია / Autocephaly 37

GIORGI GAGOSHIDZE / გიორგი გაგოშიძე
დავით აღმაშენებლის დროინდელი წარწერები სამშვილდის
დარბაზულ ეკლესიაზე / Inscriptions of the Period of David the Builder
on the Hall Church of Samshvilde 46

GÉRARD DÉDÉYAN
La coopération arméno-géorgienne à l'époque de l'Empire mongol,
sous le regard de Grigor d'Akner 68

DAREJAN KLDIASHVILI, MAIA DIASAMIDZE /
დარეჯან კლდიაშვილი, მაია დიასამიძე
1668 წლის 4 იანვრის დიდი მიწისძვრა სამხრეთ კავკასიაში /
1668 January 4 Large Earthquake in the South Caucasus 79

JEAN-PIERRE MAHÉ
La liste des rois païens dans la Conversion du Kartli:
Originalité et cohérence rédactionnelle 106

NATIA CHANTLADZE / ნათია ჩანტლაძე
ძველი სომხური წერილობითი წყაროები პეტრე იბერის შესახებ /
Old Armenian literary sources on Peter the Iberian 118

GIORGI TCHEISHVILI / გიორგი ჭეიშვილი
გიორგი და არავესი (ნარკვევი ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან) /
Georg and Arewes: Studies in Historical Geography of Kvemo (Lower) Kartli 132

II. ფილოლოგია
Philology

ENRIKO GABIDZASHVILI / ენრიკო გაბიძაშვილი
ქართული მეტაფრასტიკა ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის ისტორიის ფონზე /
Georgian Metaphraseis in light of the history of Byzantine Hagiography 141

ხათუნა გაფრინდაშვილი / KHATUNA GAPRINDASHVILI
იოანე ბოლნელის ჰომილიათა შემცველი უცნობი პალიმფსესტური ხელნაწერი (H-1816a) / An Unknown Palimpsest Containing the Homilies of Ioane Bolneli (H-1816a) 162

JOST GIPPERT
Old Georgian barsabon-i 179

მაია მაჭავარიანი / MAIA MATCHAVARIANI
მასალები წმინდანთა ხსენებების კალენდრების ისტორიისათვის / Materials for the History of the Calendars of the Saints' Feast Days 197

ნინო მელიქიშვილი / NINO MELIKISHVILI
წმ. ანდრია კრიტელის ღვთისმშობლის მიცვალებისადმი მიძღვნილი სამი ჰომილიის წმ. ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი და მისი სტრუქტურა ბერძნულ წყაროსთან მიმართებით / St Euthymios the Athonite's Translations of Three Homilies by St Andrew of Crete on the Dormition of the Mother of God and its Structure in Relation to the Greek Source 221

მაია რაფავა / MAIA RAPHAVA
ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი XVIII საუკუნეში / Georgian-Armenian literary relations in the 18th century 246

FR. CHARLES RENOUX
Le Lectionnaire Géorgien palimpsest N/Sin.georg. 55 (Xe-XIe s.): Une Visée Christologique 257

თამარ ოთხმეზური / THAMAR OTKHMEZURI
„რამეთუ ბერძულად ესრეთ არს": ქართული ხელნაწერი წიგნის ელინიზაცია, XI-XII საუკუნეები / "As it is in Greek": Hellenization of Georgian Manuscript: 11th-12th cc 270

მზია სურგულაძე / MZIA SURGULADZE
ათონელი მამების „ცხოვრებები" / The 'Lives' of the Athonite Fathers 286

ბერნარ უტიე / BERNARD OUTTIER
სინურ ხელნაწერებში დაცული ეფრემ ასურის ერთი თხზულების თარგმანი და ქართული ენის ისტორია / The Georgian Translations of Ephrem the Syrian's One Work Preserved in the Sinaitic MSS and the History of the Georgian Language 297

ლელა შათირიშვილი / LELA SHATIRISHVILI
ცნობები ადამიანის ჯანმრთელობისა და დაავადებათა მკურნალობის შესახებ ძველი აღთქმის მიხედვით / Notices about human health and treatment of diseases according to the Old Testament 310

დალი ჩიტუნაშვილი / DALI CHITUNASHVILI
ხანმეტი ოთხთავის უცნობი ხელნაწერი / The Unknown Manuscript of the Khanmeti Gospels 320

ნესტან ჩხიკვაძე / NESTAN CHKHIKVADZE
ზოგიერთი შენიშვნა კრებულ მრავალთავის შესახებ / Some Comments on the Mravaltavi Collection 334

III. შუა საუკუნეების სამონასტრო ცენტრები
Medieval Monastic Centres

BOGHOS LEVON ZEKIYAN
PILGRIMAGE AS A SIGN OF COMMUNION
With a particular regard to the tradition of the early Armenian Church..... 349

CLAUDIA RAPP
A "Chrysobull" of Justinian for Saint Catherine's Monastery (Sin. gr. 1889) in the Light of Connections between the Sinai and Constantinople in the 16th Century 365

IV. ფილოსოფია, თეოლოგია
Philosophy and Theology

LELA ALEKSIDZE
Are we, as actors on the stage, still free?
Plotinus' Ennead on the Providence III 2 (47) 378

ზურაბ კიკნაძე / ZURAB KIKNADZE
კუმრანის ბაპტისმა / Qumran Baptism 391

V. არმენოლოგია
Armenian Studies

S. PETER COWE
"Sisianos Sebastac'i's Encomium on the Forty Martyrs of Sebastē"..... 404

TINATIN EVDOSHVILI
A Newly found fragment of ancient Armenian Manuscript..... 434

THEO MAARTEN VAN LINT
A Matean Ołbergut'ean by Grigor Tłay. On the Reception of the Narek in Cilicia..... 445

ALESSANDRO ORENGO
Eznik Kołbacci entre Orient et occident..... 472

MICHAEL E. STONE
Sadayēl's Fall from Heaven 486

VI. ხელოვნებათმცოდნეობა
Art History

ქეთევან ასათიანი / KETEVAN ASATIANI
ლახამულის ოთხთავი / The Lakhamuli Gospel..... 497

დარეჯან გოგაშვილი, დალი ჩიტუნაშვილი /

DAREJAN GOGASHVILI, DALI CHITUNASHVILI
კალკოსის სახარება / The Kalkosi Gospel 508

ზაზა სხირტლაძე, გიორგი ბაგრატიონი /
ZAZA SKHIRTLADZE, GIORGI BAGRATIONI
ფარნაკის ციხის ეკლესია / The Church of the Parnaki Fortress 521

VII. საზოგადოებათმცოდნეობა
Social Sciences

როინ მეტრეველი / ROIN METREVELI
აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირების ერთი საკითხი /
One Issue of Confrontation Between the East and West 545

ვლადიმერ პაპავა / VLADIMER PAPAVA
„ცენტრალური კავკასიიდან“ – „ცენტრალურ კავკაზიამდე“ /
From the “Central Caucasus” to the “Central Caucaso-Asia” 560

მაია მაჭავარიანი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

მასალები წმინდანთა ხსენებების კალენდრების ისტორიისათვის

წერილი 2

ჩვენი კვლევის საგანია წმინდანთა ხსენებების სხვადასხვა პერიოდის ოთხი ქართული კალენდარი – იერუსალიმური ლექციონარი, იოანე-ზოსიმეს კალენდარი, ექვთიმე მთაწმინდელის მცირე სვინაქსარი და გიორგი მთაწმინდელის დიდი სვინაქსარი. ეს ძეგლები ასახავენ ქართული საეკლესიო ღვთისმსახურების წესის განვითარების ძირითად ეტაპებს: იერუსალიმური ლექციონარი, აწ დაკარგული ორიგინალის VII საუკუნეში შესრულებული თარგმანი, წარმოადგენს იერუსალიმურ ლიტურგიკულ პრაქტიკას უძველეს პერიოდში[1]; იოანე-ზოსიმეს კალენდარი, რომელიც X საუკუნის შუახანებში შედგა, გარდამავალი პერიოდის ახალ ტენდენციებს გვიჩვენებს[2], ექვთიმეს მცირე სვინაქსარი არის უკვე კონკრეტულად კონსტანტინოპოლურ ღვთიმსახურების პრაქტიკაზე ორიენტირებული ნაშრომი[3], გიორგი მთაწმიდლის დიდი სვინაქსარი[4] კი გვევლინება, როგორც დაგვირგვინება ქართული ღვთისმსახურების კონსტანტინოპოლურ წესზე გადასვლის პროცესისა.

ჩვენი კვლევის მიზანია ამ ოთხი ძეგლის შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოვაჩინოთ წმინდანთა ხსენებების ქართული კალენდრების ჩამოყალიბების პროცესი, წარმოვადგინოთ წმინდანები, რომლებიც იხსენიებოდნენ ქართული ღვთისმსახურების წესის ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპზე, გავადევნოთ თვალი, ვინ იხსენიებოდა ადრეულ პერიოდში, რომელი წმინდანების ხსენება დაემატა მოგვიანებით და ვისი ხსენება შეწყდა.

---

[1] Tarchnishvili, *Lectionnaire,* I et II.

[2] Garitte, *Le calendrier*.

[3] ექვთიმე მთაწმიდლის *„მცირე სჳნაქსარის“* ტექსტს და გამოკვლევას გამოსაცემად ამზადებს დალი ჩიტუნაშვილი. მადლობას ვუხდით მას, რომ მოგვცა საშუალება გამოგვეყენებინა მისი ხელნაწერი.

[4] იქვე, გვ. 010.

ხსენებული კალენდრების კვლევის პირველ წერილში[1] წარმოვადგინეთ სია იმ წმინდანებისა, რომელთა ხსენებაც ქართულ ქრისტიანულ ეკლესიაში დაიწყო უძველეს დროს და გაგრძელდა ბიზანტინიზაციის შემდგომაც. ეს სია შევადგინეთ წმინდანთა ხსენებების ოთხი ქართული კალენდრის შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე. ოთხ კალენდარში წმინდანთა გაიგივებისა თუ განსხვავებისათვის ჩვენ გამოვყავით რამდენიმე ფაქტორი – წმინდანის სახელი, ხსენების დღე, ჯგუფური ხსენება, უსახელო ხსენება, საერო თუ სასულიერო წოდებები, გეოგრაფიული ლოკაცია. კვლევამ აჩვენა, რომ ამ ფაქტორებიდან ცალკე აღებული არცერთი არ არის საკმარისი კალენდრებში წმინდანების იდენტიფიკაციისათვის, არამედ საჭიროა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რამდენიმეს ერთდროულად გათვალისწინება.

ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იოანე-ზოსიმეს კალენდარი. ეს უნიკალური ნაშრომია – X ს.-ის დღემდე მოღწეული პირველი კალენდარი, სადაც ადრეული, მარტის და სექტემბრის, კალენდრებისაგან განსხვავებით (სადაც წელიწადის დასაწყისი იყო 1-ლი მარტი ან 1-ლი სექტემბერი)[2], ხსენებები და დღესასწაულები გაწყობილია 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით; რაც მთავარია, აქ იოანე-ზოსიმეს შეუტანია, მისივე სიტყვით, „დღესასწაულნი ყოველნი ახალნი და ძუელნი სრულად“ ოთხი სხვადასხვა წყაროს მიხედვით – „კანონისაჲთა და საბერძნეთისაჲთა და იერუსალჩმისაჲთა და საბაწმიდისაჲთა“[3]. კალენდრის ხელნაწერიც კარგად აჩვენებს სამუშაო პროცესს – მრავალჯერაა ჩასწორებული და ბევრია ჩამატება, – როგორც ჩანს, იოანე-ზოსიმე არა ერთხელ მიუბრუნდა წყაროებს, ჩაასწორა, დაუმატა. ყოველივე ამის შედეგად მივიღეთ მართლაც უნიკალური ძეგლი, ფორმით თუ შინაარსით. წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ წმინდანებს, რომელთა დამკვიდრება ქართულ საღვთისმეტყველო პრაქტიკაში იოანე-ზოსიმეს სახელს უკავშირდება. სტატიის ბოლოს ცხრილში წარმოდგენილი წმინდანების ეს სიაც ზემოთ ხსენებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, კალენდრების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე შედგა.

იოანე-ზოსიმეს კალენდარი სრულყოფილად შეისწავლა მისმა გამომცემელმა, გამოჩენილმა ბელგიელმა მეცნიერმა ჟერარ გარიტმა. წმინდანთა ხსენებებში მან გამოყო რამდენიმე ფენა თავად იოანე-ზოსიმეს მიერ მითითებული წყაროების მიხედვით[4] და ბერძნული კალენდრებისა და ქართული მასალების საფუძველზე შეძლო კალენდარში ხსენებული წმინდანების უმეტესობის იდენტიფიცირება.

---

[1] იბეჭდება კრებულში „ენრიკო გაბიძაშვილი 90“.
[2] კეკელიძე, *ძველი ქართული წელიწადი*, გვ. 123.
[3] Garitte, *Le calendrier*, p. 20-37.
[4] Idem.

კალენდრების შეპირისპირებითი ანალიზის დროს ხსენების დღეების დიდი ვარირებისა თუ განსხვავებების გამო საჭირო იყო ერთი რომელიმე კალენდრის არჩევა ძირითად კალენდრად და ასეთად ჩვენ ავირჩიეთ გიორგი მთაწმიდლის დიდი სვინაქსარი. ეს არჩევანი განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა: ა) დიდი სვინაქსარის სათვეო ნაწილი ასახავს კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიის დღესდღეობით დაკარგულ ტიპიკონს[1], აქ წარმოდგენილია შეძლებისდაგვარად სრული სია წმინდანებისა, რომელთაც პატივს მიაგებდნენ იმ პერიოდის კონსტანტინეპოლში, აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს მაშინდელ ცენტრში; ბ) როგორც წმინდანთა ხსენებების კალენდრების ისტორიის შესახებ პირველ წერილში აღვწერეთ, კალენდრიდან კალენდარში იცვლება ერთი და იმავე წმინდანთა სახელთა დაწერილობა, ხსენების დღე, რაც ართულებს წმინდანთა გაიგივებას თუ განსხვავებას (განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ერთსა და იმავე დღეს არის ერთი და იმავე სახელის მქონე რამდენიმე წმინდანის ხსენება – ამაზე იხილე ქვემოთ). დიდ სვინაქსარში წმინდანების მოსახსენებლებზე დართულ ტექსტებში მოყვანილია ხოლმე შეძლებისდაგვარად სრული მონაცემები – დაბადების ადგილი, მშობელთა სახელები, სად მოღვაწეობდა, სად ეწამა, ვისი მმართველობის დროს და სხვა, რაც იძლევა საშუალებას ზუსტად განისაზღვროს, რომელ წმინდანზეა საუბარი. შესაბამისად, იოანე-ზოსიმეს კალენდრის შედარებამ გიორგი მთაწმიდლის დიდ სვინაქსართან მოგვცა დამატებითი მასალა ზოგიერთი წმინდანის იდენტიფიცირებისათვის:

ა) წმინდა პელაგია

იოანე-ზოსიმესთან წმინდან პელაგიას ხსენება არის ორჯერ – 05/05[2] და 07/10. ჟ. გარიტი მიიჩნევს, რომ ორივე ხსენება ეხება პელაგია ანტიოქელს[3]. დიდ სვინაქსარში პელაგიას რამდენიმე ხსენებაა, მათ შორის 05/05 (მხოლოდ ხსენებაა, ტექსტის გარეშე) და 08/10, მაგრამ ამ დღეს ორი სხვადასხვა მოწამე პელაგიას ხსენებაა – ხსენებებზე დართული ტექსტების მიხედვით ერთი არის პელაგია ანტიოქელი და მეორე – პელაგია თარსუელი, რომლის კიდევ ერთი ხსენების დღე ბერძნული სვინაქსარის მიხედვით არის 5 მაისი[4]. აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ იოანე-ზოსიმესთანაც არის არა ერთი, არამედ ორი სხვადასხვა პელაგიას ხსენება – თარსუელისა და ანტიოქელის.

ბ) წმინდა ფოკა

ბერძნულ კალენდრებში რამდენიმე სხვადასხვა ფოკა დასტურდება[5] – ფოკა სინოპის ეპისკოპოსი, ფოკა მებაღე (სინოპში), ფოკა ანტიოქელი, ფოკა და ერმილე და სხვა. ამათგან სინოპელი ფოკები ეწამნენ ტრაიანეს მეფობისას.

---

[1] გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სჳნაქსარი,* დოლაქიძე-ჩიტუნაშვილი, გვ. 012.

[2] წმინდანთა ხსენების თარიღები აქაც და ცხრილშიც მითითებულია ერთი პრინციპით – რიცხვი/თვე.

[3] Garitte, *Le calendrier*, p. 352.

[4] Delehaye, *Synaxarium,* p. 1150; 04/05 – Полный Месяцеслов Востока II, Указатель 1, с. 149.

[5] Delehaye, *Synaxarium,* p. 1177; Полный Месяцеслов Востока II, Указатель 1, с. 159.

ამათგან სამი ფოკა – ეპისკოპოსი, მებაღე და ანტიოქელი – უნდა მომდინარეობდეს ერთი წმინდანისგან და ეს იყო ფოკა მებაღე[1]. იოანე-ზოსიმესთან ფოკას ხსენება ბევრია და ჟ. გარიტი ამ ხსენებებს აკავშირებს ფოკა მებაღესთან[2], რომლის შესხმაც დაწერილი აქვს ასტერიოს ამასიელ ეპისკოპოსს[3]. მაგრამ დიდი სვინაქსარის მონაცემები განსხვავებული ვარაუდის საფუძველს გვაძლევს.

გიორგისთან სამი სხვადასხვა ფოკაა ხსენებული: ფოკა სინოპელი (22/09 – ერთვის ტექსტი), ფოკა (აღესრულა აბანოში წამებით – 22/07 – ერთვის ტექსტი) და ფოკა და ერმილე მოწამენი (18/12 – მხოლოდ ხსენებაა).

იერუსალიმურ ლექციონარსა და იოანე-ზოსიმესთან ფოკას ხსენება ბევრია. ლექციონარსა და იოანე-ზოსიმესთან ერთად იხსენიება შემდეგ თარიღებზე: 30/06, 18/07, 30/08, 09/09, 31/10. იოანე-ზოსიმესთან კიდევ არის ხსენებები: 04/05, 10/08, 06/09, 07/09, 22/09, 25/10.

ამ ხსენების დღეების მიხედვით ფოკასა და ერმილეს წყვილი ლექციონარსა და იოანე-ზოსიმესთან არ არის – სახელი „ერმილე“ ამ კალენდრებში საერთოდაც არ ჩანს, გარდა იოანე-ზოსიმესთან 14/01 „ერმოლოს სტრატონიკა მოწამის“ ხსენებისა, რომელიც არის „ერმილე და სტრატონიკე, მოწამეების“ (13/01) დამახინჯებული ფორმა. ლექციონარსა და იოანე-ზოსიმეს კალენდარში 18/07-ის ხსენება დროის პერიოდის სიახლოვით, ვფიქრობთ, უნდა იყოს იმ ფოკას ხსენება, რომელიც დიდ სვინაქსარში იხსენიება 22/07 და რომელიც აბანოში აღესრულა – ფოკა სინოპელი ეპისკოპოსი, რომლის რამდენიმე ხსენებაც ივლისის თვეში დასტურდება ბერძნულ კალენდრებში[4].

იოანე-ზოსიმესთან, ექვთიმეს მცირე სვინაქსარსა და გიორგის დიდ სვინაქსარში ერთად იხსენიება ფოკა მებაღე 22/09. ლექციონარის ხსენებებიდან ვერ ვიტყვით, რომელი შეიძლება გულისხმობდეს ფოკა მებაღეს, ვინაიდან არცერთი არ არის 22/09-სთან მაინცდამაინც ახლოს.

ყოველივე ეს, ვფიქრობთ, გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ იოანე-ზოსიმეს კალენდარში იყო არა ერთი, ცალკე მდგომი მოწამე ფოკა ხსენებული, როგორც ამას ჟ. გარიტი ვარაუდობდა, არამედ ორი – სინოპელი ეპისკოპოსი და სინოპელი მებაღე. ალბათ, ლექციონარშიც ერთზე მეტი ფოკა არის ხსენებული – კვლევის ამ ეტაპზე მეტის თქმა ძნელია.

გ) წმინდა პაფნუტი

გიორგისთან სახელი „პაფნოტი“ გვხვდება 4-ჯერ: 26/01 (დომენტი და პაფნოტი); 15/02 (ეფროსინე და მამა მისი, პაფნუტი), 20/04 (პაფნოტი მონაზო-

[1] Oxford Dictionary of Saints, ბმული: https://www.oxfordreference.com/view/10.1093/oi/authority.20110803100323570

[2] Garitte, *Le calendrier*, p. 337.

[3] ტექსტი გამოცემულია: ძველი მეტაფრასული კრებულები, გვ. 388-393.

[4] Delehaye, *Synaxarium,* p. 1177; ამ ფოკას „წამების“ ტექსტი, სადაც აღწერილია მისი აღსრულება აბანოში, გამოცემულია: იმნაიშვილი, *საკითხავი წიგნი*, II, გვ. 32-40.

ნი) და 25/09 (პაფნოტი მონაზონი). ეს ოთხი ხსენება რეალურად ორ წმინდანს ეხება: წმ. ეფროსინეს მამას (15/02) და მეუდაბნოე პაფნუტი მეგვიპტელს (25/09). მაგრამ, როგორც ჩანს, ამ წმინდანების ხსენების დღეები უკვე ადრევე ირეოდა და ერთმანეთს ემთხვეოდა[1]. ჟ. გარიტის აზრით, 25/09 ხსენებული პაფნუტი უნდა იყოს წმ. ეფროსინეს მამა, პაფნუტი, და ამ ვარაუდს ამყარებს ამ წმინდანთა წამების ადრეული კიმენური ვერსიის ქართული თარგმანის არსებობით[2]. მაგრამ, რადგან: ა) ამ წმინდანთა ხსენების დღეები აღრეული იყო უკვე ადრეულ ეტაპზე, ბ) გიორგის ტექსტის მიხედვით პაფნოტი „უმრავლესთა ჟამთა ცხორებისა მისისათა უდაბნოთა შინა იქცეოდა“, გ) ლექციონარშიც და იოანე-ზოსიმესთან პაფნოტი/პაფნუტი მოხსენიებულია როგორც მეუდაბნოე[3], ეფროსინესა და პაფნუტის ცხოვრებაში კი უდაბნო საერთოდ არ ფიგურირებს[4], მიგვაჩნია, რომ ყველა კალენდარში ამ დღეს იხსენიება მეუდაბნოე პაფნუტი მეგვიპტელი და არა წმ. ეფროსინეს მამა პაფნუტი.

დ) წმინდა თომა

იოანე-ზოსიმეს კალენდარში, გარდა თომა მოციქულისა, სახელი „თომა“ გვხვდება კიდევ ერთხელ – 24/03 თომა მონაზონი. ჟ. გარიტმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს არის კირილე სკითოპოლელის მიერ დაწერილ წმ. ექვთიმეს ცხოვრებაში ნახსენები იღუმენი თომა, რომელიც გარდაიცვალა 542 წლის 25 მარტს[5].

დიდ სვინაქსარში 22/03 არის ხსენება თომა კონსტანტინეპოლელი პატრიარქისა – ეს უნდა იყოს თომა I, რომელიც იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქი 607-610 წლებში, ხსენების დღე არის მისი გარდაცვალების თარიღი 21/03[6]. გიორგისთან თომა პატრიარქი კიდევ იხსენიება 18/02 – ეს ხსენების დღეები ასევე დასტურდება ბერძნულ სვინაქსარშიც.[7] საფიქრებელია, რომ იოანე-ზოსიმესთანაც 24/03 ამ პატრიარქის ხსენებაა.

ე) თევდოლონ ეპისკოპოსი

---

[1] Полный Месяцеслов Востока II, Указатель 1, с. 149. Указатель 2, с. 188; Православная Энциклопедия, *Евфросинья*, ბმული: https://www.pravenc.ru/text/187876.html – ამ წყაროების მიხედვით წმ. ეფროსინეს მამა იხსენიებოდა ორივე დღეს 25/09 და 15/02. 25/09 იხსენიებოდა მეუდაბნოე პაფნუტიც და კიდევ სხვა პაფნუტებიც.

[2] Garitte, *Le calendrie,* p. 339.

[3] ლექციონარში ამ დღის სრული ხსენება გამოიყურება შემდეგნაირად: „თთუესა ფებერვალსა დ, წმიდათა მეუდაბნოელთაჲ: აპელჩსი, აპოლონისი, პაფნოტისი, დიოსკორჩსი, თეოდორე პელონელისაჲ და ტიმოთე მარტჳლისა. ყოველთა მართალთაჲ“ (გვ. 37); იოანე-ზოსიმესთან იმავე დღეს: „ფილემონ მგოსნისა და მოწამისაჲ, და წმიდათა მეუდაბნოეთა აპელესი და ანპოლონისი და ტაფნოტისი და დიოსკორესი და თევდორჩსი პელოსელისაჲ, და ტიმოთე მარტჳლისაჲ, და ისიდორჩსი, და ელია მოწამისა დამასკელისაჲ“ (გვ. 48).

[4] Православная Энциклопедия, Евфросинья, ბმული: https://www.pravenc.ru/text/187876.html.

[5] Garitte, *Le calendrie,* p. 183.

[6] Orthodox Church in America, ბმული: https://www.oca.org/saints/lives/2018/03/21/100860-saint-thomas-patriarch-of-constantinople

[7] Полный Месяцеслов Востока II, Указатель 1, с. 164; Delehaye, *Synaxarium,* p. 1198.

იოანე-ზოსიმესთან 29/11 არის თევდოლონ ეპისკოპოსის ხსენება, რომელსაც ჟ. გარიტი აიგივებს რამდენიმე ბერძნულ სვინაქსარში 28-29 ნოემბერს ხსენებულ სომხეთის თევდოსიპოლისის ეპისკოპოს თევდორესთან[1]. ასეთი გაიგივება შესაძლებელია, მაგრამ, როგორც თავად მკვლევარი აღნიშნავს, ეს ნაკლებად ცნობილი წმინდანია. დიდ სვინაქსარში 03/12 არის თევდორე კვიპრელის ხსენება – ვფიქრობთ, იოანე-ზოსიმესთან სწორედ ამ წმინდანის ხსენება უნდა იყოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოვადგენთ წმინდანებს, რომლებიც არ ჩანან ადრეულ კალენდრებში (ჩვენს შემთხვევაში – იერუსალიმურ ლექციონარში) და მათი ხსენებების დამკვიდრება ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში იოანე-ზოსიმეს სახელს უკავშირდება. ეს წმინდანები მანამდეც ცნობილი იყვნენ ქართველებისთვის, ამას ადასტურებს მათი ცხოვრებისა თუ წამების კიმენური ვერსიების ძველი თარგმანები[2], მათი ხსენებები შემორჩენილია ადრეულ ხელნაწერებში[3]. მაგრამ იოანე-ზოსიმეს ნაშრომი არის ამ პერიოდის ერთადერთი, ჩვენამდე მოღწეული კალენდარი, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი ამდენი წმინდანი და სადაც მკაფიოდ ჩანს ბერძნული სვინაქსარებიდან შემოტანილი წმინდანების ფენა. ამას აღნიშნავს, როგორც ვთქვით, ჟ. გარიტი და ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში, სადაც იოანე-ზოსიმეს მიერ შემოტანილი „ახალი“ წმინდანების ხსენების დღეები უმეტეს შემთხვევაში ძალიან ახლოსაა დიდ სვინაქსართან. ამ „ახალი“ წმინდანების რაოდენობა დიდია – ეს უკვე ცხადად მიგვანიშნებს ორიენტირის ცვლილებაზე იერუსალიმიდან ბიზანტიაზე, ქართული საღვთისმსახურო პრაქტიკის ბიზანტინიზაციის პროცესის დასაწყისზე.

ცხრილში კალენდრების მონაცემები წარმოდგენილია ცალ-ცალკე სვეტებში. თუ დანარჩენ კალენდრებში წმინდანის ხსენება დიდი სჯნაქსარისაგან განსხვავებულ დღესაა, მაშინ ცხრილის შესაბამის უჯრებში ეს ხსენება მოყვანილია იტალიკით.

მცირე სვინაქსარი, როგორც უკვე ითქვა, ერთადერთი, ძლიერ დაზიანებული ხელნაწერით არის მოღწეული და ტექსტს ბევრი აკლია. შესაბამისად, ცხრილშიც მცირე სვინაქსარის სვეტში ბევრი უჯრა ცარიელია.

---

[1] Garitte, *Le calendrie,* p. 398.

[2] წმინდანები, რომლებიც არ ჩანან იერუსალიმურ ლექციონარში, მაგრამ შემონახულია მათი ცხოვრების თუ წამების კიმენური ვერსია: პავლე თებაიდელი (15/01); კონონი ისავრიელი (06/03); ივლიანე მეგვიპტელი (21/06); მართა, სვიმეონ მესუეტის დედა (05/07); კვიპრიანე და იუსტინა (02/10) და სხვა – იხ. გაბიძაშვილი, *ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია*, შესაბამისი სტატიები.

[3] ჟერარ გარიტს თავის გამოცემაში მითითებული აქვს თითოეულ იდენტიფიცირებულ წმინდანზე ქართული ხელნაწერები, სადაც არსებობს მათი ხსენება.

ბოლო სვეტში არის კომენტარები, მათ შორის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, საჭიროებისდა მიხედვით, აღნიშნულია ის კრიტერიუმები, რის საფუძველზეც მივიჩნიეთ შესაძლებლად სხვადასხვა კალენდრების ხსენებების გაერთიანება და წმინდანების გაიგივება.

დღე / თვე	*იოანე ზოსიმეს კალენდარი*	*მცირე სვინ-აქსარი (ექვთიმე მთაწმიდელი)*	*დიდი სვინაქსარი (გიორგი მთაწ-მიდელი)*	*კომენტარები*
03/01	მალაქია წინას-წარმეტყველი		მალაქია წინას-წარმეტყუელი	მეტი ხსენება არსადაა.
03/01	***გორდი მოწამე***		გორდი მოწამე	იზ-სთან ხსენებაა 04/01.
09/01	პოლოევკატე მონამე		პოლიევკტო	აქ იგულისხმება მეომარი წმინდანი პოლიევკტო, მიტ-ილინელი მოწამე [1]- გიორგის ტექსტის მიხედვით.
10/01	გრიგოლ ნოსელი	გრიგოლ ნოსელი	გრიგოლ ნოსელი	ლექც.-ში არის რამდენიმე გრიგოლი, მაგრამ გრიგოლ ნოსელთან გაიგივების სა-ფუძველი არცერთ შემთხ-ვევაში არ ჩანს.
11/01	თევდოსი მამა	თევდოსი იერუსალიმე-ლი	თევდოსი იერუ-სალიმელი	ეს არის მონაზონი და მეუდ-აბნოე თევდოსი იერუსალ-იმელი (423 – 529 წწ.)[2].
13/01	***ერმოლოს სტრა-ტონიკა მოწამე***	ერმილო და სტრატონიკო	ერმილო და სტრა-ტონიკო	იზ-სთან ხსენება არის 14/01.
14/01	***მამათა სინელთა და რაითელთა***	სინას და რაითას მოს-რულნი	სინას და რაითას მოსრულნი	იზ-სთან ორი ხსენება 13/01 და 28/12.
19/01	თევდოტი ხუცი	თეოდოთი კვიპრელი ეპისკოპოსი	თეოდოტი კჳრინე-ლი ეპისკოპოსი	
21/01	მაქსიმე აღმსარე-ბელი	მაქსიმე აღმ-სარებელი	მაქსიმე აღმსარე-ბელი	
22/01	***ბიკენტი***		ვიკენტი დიაკონი	იზ-სთან ბიკენტი 24/01 - გაიგივდა დროის პერიოდის მიხედვით.

[1] The Cult of Saints, Polyeuktos, soldier and martyr of Melitene S00325, იხ. ბმული: http://csla.history.ox.ac.uk/record.php?recid=S00325.

[2] Encyclopaedia Britannica, *St. Theodosius of Palestine*, იხ. ბმული: https://www.britannica.com/biography/Saint-Theodosius-of-Palestine.

31/01	***პაპიონ, დიოდორონ, მოწამენი***		უიქტორინო, უიქტოროს, ნიკიფორე, კლავდიოს, დიოდორე, სერაპიონ, პაპიანე, მოწამენი	ეწამნენ ერთად იმპერატორ დეკიოსის დროს[1]; აქ წმინდანების ჯგუფიდან მხოლოდ ორია დასახელებული[2]; ბერძნულ სვინაქსარში ხსენება 04/02[3]; იზ-სთან - 27/02.
09/02	ნიკიფორე მოწამე		ნიკოფორე მოწამე	გიორგის მიხედვით, რამდენიმე მოწამე ნიკიფორეა. ეს არის ხსენების დღის მიხედვით ნიკიფორე ანტიოქელი[4]. იზ-სთან კიდევ ერთი ხსენება 06/02.
11/02	ბასილი მარტვილი, ბლასიონტონ ხუცი	ვლასი მღდელმოწამე სებასტიელი და მის თანა წამებულთა დედათა	ვლასი მღდელმოწამე სებასტიელი და მის თანა წამებულთა დედათა	ჟ. გარიტის აზრით, იზ-სთან ამ დღეს ხსენებული ბასილიც და ბლასიონტონიც არის ერთი და იმავე წმინდანის, ვლასის, სხვადასხვა წყაროდან გადმოღებული დამახინჯებული ვარიანტი[5]. მსგავსი შემთხვევები - იხ. აქვე 05/04, 17/04.
12/02	***პლუტიანე მოწამე***		პლუტინე და სატორნინე მოწამეები	სახელი პლუტინე/პლუტიანე მოწამეთა სიაში დასტურდება მხოლოდ ერთხელ სატორნილ/სატრონინესთან ერთად, ხსენების დღე 12/02[6]. ასევე ერთხელ გვხვდება დიდ სვინაქსარშიც და იზ-სთანაც. იზ-სთან ხსენება 02/10 დროის პერიოდით ძალიან დაშორებულია, მაგრამ იგივე წმინდანია[7].
12/02	მელეტი პატრიარქი		მელეტი ანტიოქიის ეპისკოპოსი	გიორგის მიხედვით, ორი მელეტია, ერთი მელეტი ანტიოქელი და მეორე სტრატილატი (23/05), სხვა წმინდანია.
13/02	მარტინიანოზ მონაზონი	მარტინიანე	მარტინიანე	

---

[1] Garitte, *Le calendrier*, p. 166.

[2] მსგავსი შემთხვევები იხ. აქვე 16/04, 24/04.

[3] Delehaye, *Synaxarium*, p. 1147.

[4] Delehaye, *Synaxarium*, p. 453; The Cult of Saints, Nikephoros, martyr of Antioch, S01505, იხ. ბმული: http://csla.history.ox.ac.uk/record.php?recid=S01505, მაგრამ აქ მითითებული ხსენების დღე 03/05 სინამდვილეში სხვა ნიკიფორეს - მიდიკიელის, ხსენების დღეა, იხ. დოლაქიძე, ჩიტუნაშვილი, *დიდი სჯნაქსარი*, გვ. 224 - აქ ნიკიფორე მიდიკიელი იხსენიება 4 მაისს.

[5] Garitte, *Le calendrier,* p. 156.

[6] Полный Месяцеслов Востока II, Указатель 2, с. 188; Delehaye, *Synaxarium*, p. 460.

[7] Garitte, *Le calendrier,* p. 347.

15/02	ონესიმე, ხუცი, მოწამე	ონისიმე მღდელ-მოწამე, პავლე მოციქულის მონაფე	ონისიმე მღდელ-მოწამე, პავლე მოციქულის მონაფე	
17/02	***თევდორე მოწამე (დადგმა)***	თეოდორე ტირონი, მოწამე	თეოდორე ტირონი, მოწამე	იზ-სთან თევდორე იხსენიება 20/02 და ეს თეოდორე ტირონი უნდა იყოს (მხოლოდ სახელითაა ხსენებული). ლექც.-შიც არის თევდორეს რამდენიმე ხსენება, მაგრამ მხოლოდ სახელითაა ხსენებული, ამ თარიღთან ახლოს არცერთი არ არის, ამიტომ ამ ეტაპზე ვერ ვიტყით, რომელია კონკრეტულად ტირონის ხსენება.
17/02	***ლეონტი, პაპა***	***ლეონტი ჰრომისა არქიმანდრიტისაჲ***	ლეონტი რომისა; ***ლეონტი ჰრომისა არქიმანდრიტისაჲ***	ეს არის ლეო I, რომის პაპა 440-461 წლებში, ხსენების დღე 18/02[1]. იზ-სთან იხსენიება 18/02; სამივე კალენდარში ერთად ხსენებაა 30/12 - გიორგისთან ამ დღეს ხსენებას ერთვის ტექსტიც.
21/02	ევსტათი ეპისკოპოსი		ევსტათი ანტიოქელი ეპისკოპოსი	გიორგისთან კიდევ ერთი ხსენებაა 23/08 და მას ერთვის ტექსტიც.
25/02	ტარასი, ეპისკოპოსი		ტარასი კონსტანტინეპოლელი მთავარეპისკოპოსი	
01/03	ევდოკია, მოწამე		ევდოკია მოწამე	
01/03	კლეონიკო, ევდოროპი, ბასილიკე		ევტროპიო, კლეონიკე და ვასილისკო, მოწამენი	გიორგისთან კიდევ ერთი ხსენებაა 20/02.
04/03	***ჯერასიმე***		ჯერასიმე, მამა	იზ-სთან ხსენებაა 03/03 და 05/03.
06/03	***ბასილი, ქერსონელი ეპისკოპოსი***		ბასილი, ევგენი, აღათოდორე, ელპიდი, ეთერი, კაპიტონ და ეფრემ მღვდელ-მოძღუართა, რომელნი იწამნეს ქერსოვნეთს	იზ-სთან ხსენებაა 28/03.

[1] Православная Энциклопедия, *Лев I Великий*, იხ. ბმული: https://www.pravenc.ru/text/2463253.html

06/03	კონონი, მოწამე		კონონი, რომელი იწამა ისავრიას	
08/03	***თეოფილ[ა]ქტე ეპისკოპოსი***		თეოფილაქტე ნიკიელი ეპისკოპოსისა	იზ-სთან ხსენებაა 07/03.
10/03	***პავლე, ეპისკოპოსი***		პავლე აღმსარებელისა, პრუსიადელ ეპისკოპოსისა	პავლე პრუსიადელი (ბითვინიაში) ეპისკოპოსი, რომელიც აწამეს იკონოკლასტებმა.[1] იზ-სთან ხსენება არის 08/03[2].
12/03	თეოფანე		თეოფანე სიღრიანის მამასახლისი, რომელი იტანჯა წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათვის	
13/03	საბინონ, მოწამე	საბინე მოწამე	საბინე მოწამე	
17/03	ალექსიონი	ალექსი კაცი ღმრთისა	ალექსი კაცი ღმრთისა	გიორგისთან არის კიდევ ხსენება 17/06, ერთვის ტექსტი.
22/03	***თომა, მონაზონი***	თომა კონსტანტინეპოლელი პატრიარქი	თომა კონსტანტინეპოლელი პატრიარქი	იზ-სთან, გარდა თომა მოციქულისა, ეს ერთადერთი თომაა - ხსენება 24/03.
28/03	***მატრონა***		მატრონა თესალონიკელი	იზ-სთან ხსენება 27/03.
30/03	იოვანე კლემაქსი		იოვანე სინელი მამასახლისი (კლემაქსი)	იზ-სთან კიდევ ერთი ხსენება 31/03.
03/04	***აღაპი, იერენე, სილოანე, მოწამეები (წამება)***		აღაპი, ირინი და ქონია, მოწამენი	იზ-სთან ხსენებაა 01/04; მიუხედავად მესამე სახელის განსხვავებისა, ერთი და იგივე წმინდანებია[3].
03/04	ნიკითა, მოწამე		ნიკიტა მღდელი, მიდიკის მამასახლისი	
04/04	თევდული, აღაპი, მოწამენი	თეოდულო წიგნისმკითხველი და აღათოპოდოს დიაკონი	თეოდულო წიგნისმკითხველი და აღათოპოდოს დიაკონი	

[1] Michaelis Le Quien, Oriens Christianus, in quatuor patriarchatus digestus, Parisiis, 1740, p. 580.
[2] Garitte, *Le calendrier,* p. 174.
[3] Garitte, *Le calendrier*, p. 190-191.

05/04	***პარმოთიო***	ფერმუთი ქალწული, მისი და და მხევალი, მოწამენი	ფერმუთი ქალწული, მისი და და მხევალი, მოწამენი	იზ-სთან ხსენება 08/04.
05/04	თერმო, მისი და და მისი მხევალი, მოწამენი		თერმო, მისი და და მისი მხევალი, მოწამენი	ბერძნულ სვინაქსარშიც არის ეს ხსენება[1], მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არის მაინც ფერმუთი ქალწულის კიდევ ერთი ვარიანტი[2] *(ასეთივე შემთხვევა - იზ. 17/04 აღაპიტო).*
06/04	ევტოხონ ეპისკოპოსი	ევტჯქი კონსტანტინეპოლელი მთავარეპისკოპოსი	ევტჯქი კონსტანტინეპოლელი მთავარეპისკოპოსი	
07/04	აკულე და მისთანანი	აკვილინა და მის თანა წამებული ორასი მოწამე	აკვილინა და მის თანა წამებული ორასი მოწამე	
07/04	როფენი, მოწამე (წამება)	როფინე დიაკონი	რუფინე დიაკონი, მოწამე	იზ-სთან კიდევ ხსენებაა 09/04 („როფინო“ ფორმით).
08/04	კელისტინე ჰრომთა პაპი	კელისტინე ჰრომთა პაპი	კელისტინე ჰრომთა პაპი	
11/04	ანტიპა მოწამე, ეპისკოპოსი პერღამოსი	ანტიპა მღდელმოწამე, ეპისკოპოსი პერღამოსი ასიას	ანტიპა მღდელმოწამე, ეპისკოპოსი პერღამოსი ასიას	
15/04	საბა, მოწამე	საბათი გუთი, მოწამე	საბატი გუთი, მოწამე	იზ-სთან სახელი განსხვდება, მაგრამ იგივე წმინდანია - ბერძნულ სვინაქსარში სახელი „საბა“ ფორმითაა[3].
16/04	***ლეონდიოს და მისთანანი, მოწამენი***	ლეონიდო, ხარისი, ნუნექია, ბასილია, ნიკი, ღალინი, კალიდო და თეოდორა მოწამენი	ლეონიდო, ხარისი, ნუნექია, ბასილია, ნიკი, ღალინი, კალიდო და თეოდორა მოწამენი	იზ-სთან ხსენებაა 15/04.

[1] Delehaye, *Synaxarium*, p. 588.
[2] Garitte, *Le calendrier*, p. 193.
[3] Delehaye, *Synaxarium*, p. 604.

17/04	აღაპი, ჰრომისა პატრიარქი	***აღაპიტო ჰრომთა პაპი***	აღაპიტო ჰრომთა პაპი	ექვთ.-სთან ხსენებაა 18/04; იზ-სთან ამ დღეს ორჯერ არის ხსენება - „წამებაჲ წმიდისა აღაპისი ჰრომისა პატრიარქისაჲ და ... აგაპიტონ პატრიარქისაჲ იგივე“. როგორც ჩანს, ეს სახელი იზ-ს მიერ გამოყენებულ წყაროებში სხვადასხვანაირად ეწერა და ორივე ვარიანტი შეიტანა *(ასეთივე შემთხვევა - იხ. 05/04 ფერმუთი).*
18/04	***გეორგი პატრიარქი***	***გეორგი ანტიოქელი პატრიარქი***	გეორგი ანტიოქელი პატრიარქი	იზ-სთან და ექვთიმესთან ხსენებაა 19/04.
24/04	ლეონტი და ლონგინოს		ლეონტი, ლონგინოს, ევსევი, ნეონ, ქრისტეფორე, დიმიტრი, დანავ, თერინე, ნესტავ და მისთანანი, მოწამენი	ეწამნენ ერთად იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს[1], იზ-სთან ამ ჯგუფიდან მხოლოდ პირველი ორია დასახელებული.
30/04	იაკობ მოციქული	იაკობ მოციქული (ზებედეს ძე)	იაკობ მოციქული (ზებედეს ძე)	გიორგისთან ხსენება კიდევ 15/11.
02/05	ზოჲ და მისთანანი	ესპერე და ცოლი მისი ზოი და შვილთა, კჳრიაკოზ და თეოდულე	ესპერე და ცოლი მისი ზოი და შვილთა, კჳრიაკოზ და თეოდულე	იზ-სთან ხსენება 03/05; ეს ერთადერთი ხსენებაა და საინტერესოა, რომ ხსენება არის სწორედ ზოის, მეუღლის, სახელით და დანარჩენი არცერთი იზ-სთან არ იხსენიება.
05/05	***ირინე, დედაკაცი მოწამე***	ერინე (ასული), მოწამე	ირინე, მოწამე	იზ-სთან ერთადერთი ხსენებაა 05/06 - რიცხვი ემთხვევა, თვე აცდენილია, სავსებით დასაშვებია, გადაწერის დროს მექანიკური შეცდომა იყოს ან წყაროში, ან იზ-სთან.
05/05	პელაგია	პელაგია, მოწამე	პელაგია, მოწამე	რამდენიმე პელაგია მოწამეა, ხსენების დღის მიხედვით ეს არის პელაგია თარსუელი[2].
06/05	პახუმი, ილარიონ		პახუმი, ილარიონ და მამა, მამანი	ბერძნულ სვინაქსარებში მათი ხსენებაა 04/05[3].

[1] Delehaye, *Synaxarium*, p. 628.
[2] Полный Месяцеслов Востока II, Указатель 1, с. 149; Delehaye, *Synaxarium*, p. 1150.
[3] Garitte, *Le calendrier*, p. 217-218.

06/05	იობ მართალი		იობ მართალი	იზ-სთან კიდევ ხსენებაა 08/05.
08/05	არსენი მონაზონი		არსენი	
09/05	***ეპიმახოს მოწამე***	ეპიმახო და გორდიანე, მოწამენი	ეპიმახო და გორდ-იანე, მოწამენი	იზ-სთან ხსენებაა 10/05, 14/05[1].
10/05	სიმონ მოშურნე	სიმონ მო-შურნე, მოცი-ქული	სიმონ მოშურნე, მოციქული	
14/05	პახუმი და თე-ოდორე	პახუმი და თეოდორე განწმედილი	პახუმი და თე-ოდორე განწმე-დილი	
16/05	***ყოველთა საბაწმი-დას გარდაცვალე-ბულ მამათა ხსენება***		მამათა, რომელნი საბას ლავრას აღესრულნეს	იზ-სთან ხსენებაა 24/01.
16/05	***გიორგი ეპისკო-პოსი***		გიორგი მიტკლინელი ეპის-კოპოსი	იზ-სთან ხსენებაა 18/05; გავაიგივეთ დროის პერიო-დის და სასულიერო წოდების საფუძველზე.
22/05	იუდა მოციქული		იუდა მოციქული მოშურნე	იზ-სთან კიდევ ხსენებაა 23/01 და 30/08.
25/05	თერაპო, მოწამე (წამება)	თერაპონ ეპისკოპოსი, მოწამე	თერაპონ ეპისკო-პოსი, მოწამე	იზ-სთან კიდევ ხსენება 26/05.
27/05	***ელადიოს მღვდელი (მოწამე); ელადი ხუცი***		ელადი მღდელ-მოწამე	იზ-სთან ხსენებები: ელადიოს მღვდელი 16/05; ელადი ხუცი 17/05.
27/05	***დიდომოს მოწამე***	თეოდორა და დიდიმო, მოწამენი	თეოდორა და დი-დიმო, მოწამენი	იზ-სთან ხსენებაა 30/05.
01/06	იუსტინიანე მოწამე		იოსტინოს ფილო-სოფოსი, მოწამე	
04/06	მიტროფანე	მიტროფანე, კონსტანტი-ნოპოვლელი ეპისკოპოსი	მიტროფანე, კონ-სტანტინოპოლე-ლი ეპისკოპოსი	
07/06	***სებასტია, მოწამე***		სებასტიანე, დედა	იზ-სთან ხსენებაა 05/06.
13/06	აკულინე, მოწამე		აკვილინე, მოწამე (ასული)	

[1] Garitte, *Le calendrier*, p. 220-221.

13/06	***ანთიპატროს ეპის-კოპოსი***		ანტიპატრო ბოსტ-რელი ეპისკოპოსი	იზ-სთან ხსენება 04/04[1]; ეს სახელი მხოლოდ ერთხელ გვხვდება იზ-სთანაც და გიორგისთანაც.
16/06	ტიქონა ეპისკო-პოსი		ტჳხონ საკვირ-ველმოქმედი (კვიპროსი)	
18/06	ლეონტი მოწამე		ლეონტი, იპა-ტი, თეოდულე, მოწამენი	
18/06	პოპლიოს, მონა-ზონი და მოწამე		პოპლიოსი, მოწამე	
21/06	ივლიანე, მარტ-ვილი		ივლიანე, მეგვიპტელი, და მისთანანი, მოწამენი	გიორგის მიხედვით რამ-დენიმე მოწამე ივლიანეა: ივლიანე ემეწელი 06/02, მოწამე ივლიანე ანაზარბოს, კილიკიას 16/05, და სხვა. ლექც.-შიც არის მოწამე ივლიანეს ხსენებები, განსხვავებულ დღეებში, დამატებითი ინფორმაციის გარეშე, ამიტომ ამ ეტაპზე ვერ ვიტყვით, რომელი ხსენ-ება რომელ მოწამეს გულისხ-მობს. იზ-სთან ივლიანე მარტვილის ხსენება არის კიდევ 20/06.
22/06	ევსებია, მოწამე		ევსევი მღდელ-მოწამე	აქ იგულისხმება ევსევი სამოსატელი მოწამე[2] - ჩანს გიორგის ტექსტიდან.
25/06	ფებრონია, მოწამე; ***ფებრონია, მოწამე (წამება)***	ფებრონია, მოწამე	ფებრონია, მოწამე	იზ-სთან კიდევ ერთი ხსენება 24/06.
27/06	სამსონ მონაზონი	სამფსონ ხუცი უცხოთშემ-წყნარებელი	სამფსონ მღვდე-ლი უცხოთშემწყნ-არებელი	
04/07	***ქაკინთონ, მოწამე***		იაკინთო, მოწამე	გიორგისთან არის ორი მოწამე იაკინთო, ხსენებები-სთვის დართული ტექსტების მიხედვით ორი სხვადასხვა წმინდანია: ეს არის რომაე-ლი მოწამე, ხოლო 18/07 - ამასტრელი მოწამეა. იზ-სთან ქაკინთონ იხსენიება 03/07[3].

[1] Garitte, *Le calendrier,* p. 192.
[2] Dictionary of Christian Biography; Eusebius, Bishop of Samosata, იხ. ბმული: https://www.ccel.org/ccel/wace/biodict.html?term=Eusebius,%20bishop%20of%20Samosata; Garitte, Le calendrier, p. 257.
[3] Garitte, *Le calendrier,* p. 270.

05/07	მართა, სვიმეონ მესუეტის დედა		მართა, სვიმეონ მესუეტის დედა	
07/07	სისო		სისო	
12/07	***ღოლინდოხ მარტ-ვილი***	ღულინდუხ-ტი (მარიამ), მოწამე	ღულინდუხტი (მარიამ), მოწამე	იზ-სთან ხსენებაა 09/06[1].
12/07	პროკლე და ელიარ-ონ, მოწამენი	პროკლე და ილარიო, მოწამენი	პროკლე და ილარ-იო, მოწამენი	
14/07	იუსტონ მოწამე; ***იოსტინო მოწამე***	ოსტო, მხე-დარი (რომს), მოწამე	იოსტო მოწამე	იზ-სთან კიდევ ერთი ხსენება („იოსტინო“ ფორმით) 16/05.
16/07	ანტიოქოზ მოწამე		ანტიოხოსი, მოწამე	
17/07	ათენაგენე, ეპისკო-პოსი, მოწამე	ათენაგენე, მოწამე	ათენაგენი, მოწამე	
17/07	მარინა, მოწამე	მარინა, მოწამე	მარინა, მოწამე	იზ-სთან კიდევ ხსენებებია 08/08 და 05/06 - სხვა წმინდანი ამ სახელით არ ჩანს.
18/07	***იოვანე, ქალკი-დონელი ეპისკო-პოსი***		იოვანე ქალკი-დონელი მთავა-რეპისკოპოსი	იზ-სთან ხსენებაა 28/07[2].
18/07	***იაკინთო***	იაკინთე ამასტრელი, მოწამე	იაკინთე ამასტრე-ლი, მოწამე	გიორგისთან არის ორი მოწამე იაკინთო, ხსენებები-სთვის დართული ტექსტების მიხედვით ორი სხვადასხვა წმინდანია: ეს არის ამასტრე-ლი მოწამე, ხოლო 04/07 - რომაელი მოწამეა. იზ-სთან იაკინთო იხსენიება 03/07, 11/07, 22/07. პირველი ხსენება რომაელი მოწამისაა, ბოლო - ამასტრელისა. 11/07 რომლის ხსნებაა, გარკვევა ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი[3].
19/07	დეო	დიო, ანტიო-ქელი მამა	დიო, ანტიოქელი მამა	
21/07	სვიმეონ სალოსი	სვიმეონი, რომელი იქნა ქრისტესთვის სულელ, და იოვანესი	სვიმეონი, რომელი იქნა ქრისტესთ-ვის სულელ, და იოვანესი	

[1] Garitte, *Le calendrier*, p. 245-246.
[2] Idem, p. 297.
[3] Idem, p. 276.

22/07	მარიამ მაგდანელი	მარიამ მაგ- დანელი	მარიამ მაგდანელი	
24/07	ქრისტინა, მოწამე	ქრისტინა, მოწამე	ქრისტინა, მოწამე	გიორგის მიხედვით ორი ქრისტინაა: სპარსი მოწამე ქრისტინა, მოწამე (14/03) და ქრისტინა ტირელი (24/07). ეს არის ტირელი მოწამე. იზ-სთან კიდევ ერთი ხსენებაა 20/07.
25/07	ჯლიმბია		ულიმპია	
28/07	ესტატი		ევსტათი ანკვირი- ელი, მოწამე	
29/07	კალონიკე, მოწამე		კალინიკე (ღანღ- რას), მოწამე	
29/07	თევდოტი		თეოდოტის და შვილთა მისთა, მოწამენი	იზ-სთან კიდევ ხსენება 30/07.
30/07	***იოვანე მხედარი, წამება***		იოვანე მხედარი	იზ-სთან ხსენებაა 04/08; გიორგისთან კიდევ ერთ ხსენება 12/06.
01/08	***სოფია დედაკა- ცისაჲ და ასულთა მისთა პისტისი, ელპისი, აღაპისი, მოწამენი***		პისტი, ელპიდი, აღაპი და დედა მათი, სოფია, მოწამენი	იზ-სთან რამდენიმე ხსნებაა 04/08, 24/10, 25/10; გიორ- გისთან კიდევ 04/07; იზ-სთან არის კიდევ ცალკე შვილების ხსენება - პისტოს, ელპიტოს, აღაპი 23/03.
04/08	***თუთაელი, მოწამე***		თუთაელ, მოწამე	იზ-სთან ხსენებაა 05/08.
04/08	***იაი, დედა***		იაი, მოწამე	გიორგისთან კიდევ ხსენე- ბებია 11/09, 25/09, თანდარ- თული ტექსტების მიხედვით ერთი და იგივე წმინდანია; იზ-სთან ხსენებაა 20/03[1].
05/08	ევსიღლონი, მოწამე		ევსიღნი, მოწამე	იზ-სთან არის კიდევ ხსენება 05/02 („ევსიგნი“ ფორმით) და იგივე წმინდანი უნდა იყოს, ვინაიდან სხვა მოწამე ევსიღ- ნი ვერ მოვიძიეთ.
08/08	***მირონ, ეპისკო- პოზი***		მირონ საკვირ- ველმოქმედი (კრიტე)	იზ-სთან ხსენებაა 11/08.
09/08	მატათია მოციქუ- ლი		მატათა მოციქუ- ლი	

[1] Garitte, *Le calendrier*, p. 180-181.

14/08	***მიქეა, წინასწარმეტყველი***		მიქეა, წინასწარმეტყველი	იზ-სთან ხსენებაა 24/11.
16/08	***მირონ, ეპისკოპოზი***		მირონი, მოწამე	მირონ ეპისკოპოზი იზ-სთან 11/08, გიორგისთან ხსენებაზე დართულ ტექსტში მირონ მღდელი.
19/08	***ანდრია მხედარი; ანდრეოჲსი და სტრატილატოჲ წმიდისა მოწამეთა***		ანდრეა სტრატილატი, მოწამე	გიორგისთან ხსენებაა კიდევ 13/07; იმავე დღეს იზ-სთან „ანდრეოსი და სტრატილატი“ ფორმით - ჩანს, შეცდომა იყო ერთ-ერთ წყაროში, საიდანაც იწერდა იზ, და აქ სინამდვილეში ერთი წმინდანი - ანდრეა სტრატილატი - იგულისხმება[1] *(მსგავსი შეცდომა - იხ. აქვე 13/01).*
24/08	ტატიანე, მოწამე		ტატიანე, მოწამე	
25/08	ტიტე მოციქული;		ტიტე მოციქული	იზ-სთან კიდევ ხსენებაა 16/12.
27/08	პიმენი და ძმანი მისნი		პიმენი	
28/08	***გელასი, მოწამე***		გელასი, მოწამე	იზ-სთან ხსენებაა 27/08.
03/09	ანთიმოს ხუცი, მოწამე		ანთიმოს ნიკომიდიელ ეპისკოპოსი	
07/09	სოზონტა მოწამე	სოზონ მოწამე	სოზონ მოწამე	გიორგისთან კიდევ ერთი ხსენებაა 07/08.
09/09	***სევერიანე მოწამე***		სევერიანე	იზ-სთან ხსენებაა 09/10; გიორგის ტექსტიდან ჩანს, რომ სევერიანე მოწამეა; თარიღში ერთი თვის განსხვავება შეიძლება გადამწერის შეცდომა იყოს[2].
11/09	პეტრე ეპისკოპოსი ნიკელი		პეტრე ნიკიელი მთავარეპისკოპოსი	
14/09	***პაპა***		პაპა	იზ-სთან ერთი ხსენება 24/09, გავაიგივეთ სახელით და დროის პერიოდის მიხედვით.
14/09	***ოქროპირისა მიცვალებაჲ***		დაძინებაჲ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ	იზ-სთან ხსენებაა 15/09.

[1] Garitte, *Le calendrier,* p. 277.
[2] Idem, p. 353.

15/09	ანიკიტა, მოწამე	მოწამე ნიკიტა	ნიკიტა	იზ-სთან კიდევ ხსენებაა 16/10.
17/09	***აგათოკლია მოწამე***		აღათოკლია	იზ-სთან ხსენებაა 19/09.
19/09	პელეონი, ნილოსი, პატერმოთეოზი და ელია		ასორმეოცდაათ-თა მოწამეთაჲ, რომელთა თავნი იყვნეს აპილე-ონ და ნილო და პატერმუთიოს და ელია	
23/09	***ხილვა ზაქარიაჲსი და დადუმებაჲ***	დადუმებაჲ ზაქარიაჲსი და მუცლადღებაჲ იოვანე ნათ-ლისმცემელი საჲ	დადუმებაჲ ზაქარიაჲსი და მუცლადღებაჲ წმიდისა იოვანე ნათლისმცემელი-საჲ	იზ-სთან ხსენებაა 27/09.
25/09	***თეოფილე ეფესე-ლი ეპისკოპოზი***		თეოფილე ეფესე-ლი ეპისკოპოსი	იზ-სთან ხსენებაა 23/09.
28/09	ხარიტონი, მონა-ზონთა დასაბამი		ხარიტონ აღმ-სარებელი	გიორგისთან არის კიდევ ერთი ხსენება 09/09.
29/09	კჳრიაკოზ პალა-ვრელისაჲ; ***კჳრია-კოზისი სუკაჲსი***		კჳრიაკოს გან-შორებული	გიორგისთან ხსენებას დარ-თული ტექსტის მიხედვით, კჳრიაკოზ იყო „ლავრასა სუკაჲსსა“, ამიტომ იზ-სთან 09/09 იმავე წმინდანის ხსე-ნებაა.
01/10	***მიქაელ მოწამე***		მიქაელ ზოვის მამასახლისი, მოწამე	იზ-სთან ხსენებაა 26/09.
01/10	***რომანა***	ჰრომანოს მგალობელი	რომანოზ მგალო-ბელისაჲ	იზ-სთან ხსენება 04/10, გაიგივება დროის პერიოდის მიხედვით.
01/10	***ანანია, მოწაფ-ისა უფლისაჲ, პირველი მთა-ვარეპისკოპოსი დამასკეს შინა; ანანია მოციქული, რომელმან პავლ*ს ნათელ-სცა***	ანანია, დამასკელი ეპისკოპოსი, მოციქული	წმიდა მოციქული ანანია	იზ-სთან ორი ხსენებაა - 02/10 და 20/12.
02/10	კჳპრიანე და იოსტი; ***კვიპრიანე, მამად-მთავარი ანტიო-ქიის; ივსტინა, მოწამე***		კჳპრიანესი და იუსტინაჲსი	იზ-სთან კიდევ ხსენებებია 05/10 („იოსტი“ იუსტინას სახელია გაქრისტინებამდე) და 25/07.

03/10	დიონოსი		დიონოსი არიოპაგელი და ათინელთა ეპის-კოპოსი	
09/10	***იაკობ ალფჱსი***	იაკობ ალფესი	იაკობ ალფესი	იზ-სთან ხსენებაა 08/10.
14/10	***ნაზარიონ მოწამე***		ნაზარი, გერვა-სი, პროტასი და კელსი	იზ-სთან ხსენებაა 13/10.
15/10	***ლუკიანე ხუცი***	ლუკიანე ხუცესმოწამე	ლუკიანე ხუცეს-მოწამე	იზ-სთან ხსენებაა 14/10.
17/10	***ოსე წინაჲსწარმეტყუ-ელი***	ოსე წი-ნაწარმეტყუ-ელი	ოსე წი-ნაწარმეტყუელი	იზ-სთან იხსენიება 16/10.
19/10	***ამფილოქე ეპისკო-პოსი***		ამფილოქე იკონიელი	იზ-სთან ხსენებებია 22/11, 10-11/12.
19/10	***სადოთ, მოწამე***		სადოთ ეპისკოპო-სისაჲ და მის თანა აღსრულებულთა 150 წმიდათაჲ სპარსეთს	იზ-სთან ხსენებაა 28/02 - მიუხედავად დროში დიდი განსხვავებისა, ერთი და იგივე წმინდანია, ხსენების ორივე დღე დასტურდება წყაროებში[1].
19/10	***იოელ წინაჲსწარმეტყუ-ელი***		იოველი	იზ-სთან ხსენებაა 18/10.
20/10	კორნელიოს ასის-თავი		კორნილიოს ასის-თავი	იზ-სთან კიდევ ერთი ხსენება 20/11.
20/10	***არტემინ მოწამე***		არტემი	იზ-სთან ხსენებაა 19/10.
21/10	ილარიონ მონაზონი		ილარიონი	
22/10	***აბერკო***		აბერკი ეპისკოპო-სისა იერაპოლელ-ისაჲ	იზ-სთან ხსენებაა 21/10.

[1]Garitte, *Le calendrier*, p. 167.

23/10	***შვიდთა ყრმათა დაძინება ეფესოს***		შჳდთა ყრმათაჲ ეფესოს, რომელთა სახელები ესე არს: მაქსიმილიანე, ძე ეპარხოსისა პრეტორისაჲ, იამბლიქე, მარტინინოს, დიონისი, იოვანე, კოსტანტინე, ანტონინე	გიორგისთან კიდევ არის ხსენება 02/08 და იმავე დღეს არის იზ-სთანაც; იზ-სთან კიდევ 04/10, 29/11.
24/10	***პროკლე მთავარეპისკოპოსი, ოქროპირის მოწაფე***		პროკლე კოსტანტინეპოვლელ მთავარეპისკოპოსი	იზ-სთან არის 19/11 და გიორგისთან კიდევ ერთი ხსენებაა 20/11.
25/10	***მარკიანე მოწამე***		მარკიანესი და მარტჳრისი	იზ-სთან ხსენებაა 24/10.
26/10	დემეტრე მოწამე	დიმიტრი	დიმიტრი	
27/10	***არტემიდორო, მოწამე***	არტიმიდორე	არტემიდორე	იზ-სთან ხსენებაა 28/10.
30/10	ზენობია	ზინობი და ზინობია	ზინობი და ზინობია	
31/10	ეპიმახოს მოწამე	ეპიმახოს და ჰერაკლე, მოწამენი	ეპიმახოს და ჰერაკლე, მოწამენი	იზ-სთან კიდევ ხსენებებია 29-30/10.
02/11	აკონდინეთი		აკინდჳნე, პილასი, აფთონი, ელპიდიფორო და ანემპოდისტო და მათთანანი 7028, მოწამენი	
03/11	აკეფსიმა, ჲოსეფ მოწამეთაჲ		აკეფსიმა ეპისკოპოსისა, იოსებ ხუცისა და აითალა დიაკონისაჲ	
07/11	ოცდაცამეტი მოწამე		33 მოწამეთაჲ, რომელნი იწამნეს მელიტინეს	
08/11	***მატრონა***		მატრონა	მატრონა კონსტანტინოპოლელი - იზ-სთან ხსენებაა 05/11.
12/11	იოვანე მოწყალე		იოვანე მოწყალე	იზ-სთან კიდევ ხსენებაა 30/11.

15/11	სამონა გურიაე-თივე; ***სამონა, გურია, აბიბო, მოწამენი***	გურია, სამონა და აბიბოჲსი	გურია, სამონა და აბიბოჲსი	იზ-სთან კიდევ ხსენებებია 13/11, 19/11.
18/11	***ჰრომანე, ეპისკო-პოსი მოწამე და ყრმა მარტკრი***		რომანოზისი და ჩჩკლისაჲ	იზ-სთან ხსენებაა 01/05, დროით დაშორებულია, მაგრამ ერთი და იგივე წმინ-დანია ხსენების შინაარსის მიხედვით[1].
25/11	ეკატირინა ალე-ქსანდრიელი, წამება		ეკატერინე	იზ-სთან კიდევ ერთ ხსენება 24/11.
27/11	იაკობ დაჭრილი	იაკობ სპარსი დაჭრილი	იაკობ დაჭრილი	იზ-სთან კიდევ ხსენებები 12/11 და 28/11.
28/11	ელინარხო, მოწამე	ირინარხო, მოწამე	ირინარხო	
28/11	***მავრიკ მეფე***		მეფეთაჲ კონსტან-ტინესი და მავრიკ-ისი და შვილთა მათთაჲ	იზ-სთან ხსენება 28/08 - ერთი და იგივე პიროვნებაა, სხვა მავრიკ მეფეს წმინდანებში ვერ მივაკვლიეთ[2].
29/11	***იოვანე დამასკელი***		იოვანე დამასკელი	იზ-სთან არის მხოლოდ ერთი ხსენება 04/12 და ამავე დღეს გიორგისთანაც არის ხსენება.
01/12	ნაუმ წინაჲსწარმეტყუ-ელი		ნაუმი	
02/12	ამბაკუმ წინაჲსწარმეტყუ-ელი		ამბაკუმი	იზ-სთან ხსენებებია 19/06, 28/06, 01/07 და სხვა.
03/12	***თევდოლონ ეპის-კოპოსი***		თეოდულე კკპრი-ელისაჲ	იზ-სთან 29/11; დროის პერი-ოდით არის ახლოს.
03/12	სოფონია წინაჲსწარმეტყუ-ელი		სოფონია წინაჲსწარმეტყუ-ელი	
04/12	ბარბარა მოწამე		მოწამე ბარბარა	
08/12	პატაპიონი		პატაპი თებაიდე-ლი	
11/12	დანიელ მესუეტე		დანიელ მესუეტე	

[1] Garitte, *Le calendrier*, p. 214.
[2] Idem, p. 315.

12/12	***სფურიდონ კჳპრელ ეპისკოპოსისაჲ;*** სპირიდონისივე		საკჳრველთმოქმედი სპირიდონი	გიორგისთან ხსენებას დართული ტექსტის მიხედვით ეს ერთი და იგივე წმინდანია[1].
14/12	ფილიმონ და აპოლონი		ფილიმონი, აპოლონი, იპატი და მათთანანი, მოწამენი	
16/12	***ბაქოზ, მოწამე (ჰართამა ამირის დროს ეწამა)***		ბაქო, მოწამე	გიორგისთან ხსენებას დართულ ტექსტში ამირის სახელი არ ჩანს, მაგრამ ფაქტი არის („წინაშე ამირისა წარადგინეს"); იზ-სთან ხსენებაა 22/12[2].
16/12	ანგეა წინაჲსწარმეტყველი		ანგეა წინაჲსწარმეტყველი	
17/12	***პატრემათეოზი, კჳრილე და ალეგსანდრე, მოწამენი (წამება)***		პატერმოთესი და კოპრისი და ალექსანდრესი, რომელნი იწამნეს ივლიანეს ზე განდგომილისა	იზ-სთან ხსენებაა 09/04; გიორგისთან კიდევ ერთი ხსენება 09/07.
22/12	ანასტასია, დედაკაცი მოწამე		ანასტასია, მოწამე	
23/12	ათი მოწამე კრეტელი		ათი მოწამე	
24/12	ევგენი მოწამე და მოყუასნი მისნი		მოწამე ევგენია	გიორგისთან კიდევ ხსენება 13/01; ხსენებებს დართული ტექსტების მიხედვით ერთი და იგივე წმინდანია. იზ-სთან კიდევ ერთი ხსენებაა 30/12.
28/12	თევდორჱ პატრიაქი	თეოდორე კოსტანტინეპოვლელი მთავარეპისკოპოზი	თეოდორე კოსტანტინეპოვლელი მთავარეპისკოპოსი	
29/12	ჩჩჳლთა ყრმათაჲ, რომელნი ჰეროდე მოწყჳდნა	ჩჩჳლთა ყრმათაჲ	ჩჩჳლთა ყრმათაჲ	
29/12	მარკელე მონაზონი	მარკელე	მარკელე	იზ-სთან კიდევ ხსენება 31/12.
30/12	ანოჲსთაჲსი მარტჳლისაჲ	მოწამისა ანუსია	მოწამე ანუსია	

[1] Garitte, *Le calendrier*, p. 406-407.
[2] Idem, p. 414

დამოწმებული ლიტერატურა

გაბიძაშვილი, *ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია* = გაბიძაშვილი ე., ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბილისი, 2004.

გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სჯნაქსარი,* დოლაქიძე, ჩიტუნაშვილი = გიორგი მთაწმინდელი, *დიდი სჯნაქსარი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა, თბილისი, 2017.

იმნაიშვილი, *საკითხავი წიგნი II* = საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1966.

კეკელიძე, *ძველი ქართული წელიწადი* = კეკელიძე კ., *ძველი ქართული წელიწადი. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. I, თბილისი, 1956, გვ. 99-124.

მცირე სჯნაქსარი = ექვთიმე მთაწმიდელის „მცირე სჯნაქსარი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო დალი ჩიტუნაშვილმა (ხელნაწერი).

ძველი მეტაფრასული კრებულები = *ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები).* ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ. თბილისი, 1986.

Никифорова, *Из истории Минеи* = Никифорова А. Ю., *Из истории Минеи в Византии (Гимнографические памятники VIII-XII вв.) из собрания монастыря святой Екатерины на Синае,* Москва, 2012.

Полный Месяцеслов Востока II = Сергий (Спасский) архиеп., *Полный Месяцеслов Востока,* т. II, Святой Восток, Москва, 1876.

Garitte, *Le calendrier* = Garitte, G. *Le calendrier palestino-géorgien du Sinaiticus 34 (Xe siècle).* Bruxelles, 1958 [Subsidia Hagiographica 30].

Delehaye, *Synaxarium* = Delehaye H., P*ropylaeum ad Acta sanctorum novembris: Synaxarium ecclesiae constantinopolitanae.* Brussels: Société des Bollandistes, 1902.

Tarchnishvili, *Lectionnaire*, I =Tarchnishvili M., L*e grande Lectionnaire de l'eglise de Jérusalem (Ve-VIIIe siècle)*, t. I (CSCO, 188; Scriptores Iberici, 9), Louvain, 1959.

Tarchnishvili, *Lectionnaire*, II – Tarchnishvili M., *Le grande Lectionnaire de l'eglise de Jérusalem (Ve-VIIIe siècle),* t. II (CSCO, 204; Scriptores Iberici, 13), Louvain, 1960.

ინტერნეტრესურსები

Православная Энциклопедия под редакцией Патриарха Московского и Всея Руси Кирилла, ბმული: http://www/pravenc/ru.

Dictionary of Christian Biography, ბმული: https://www.ccel.org/ccel/wace/biodict.html

Encyclopaedia Britannica, ბმული: https://www.britannica.com/biography

Orthodox Church in America, ბმული: https://www.oca.org/saints/lives

Oxford Dictionary of Saints (Oxford Reference), publisher: Oxford University Press, 2011. ბმული: https://www.oxfordreference.com

Shaff-Herzog Encyclopedia of Religious Knowledge, 1914; ბმული: https://ccel.org/ccel/schaff/encyc01/encyc01.i.html

The Cult of Saints in Late Antiquity (CSLA) database (University of Oxford), ბმული: http://csla.history.ox.ac.uk/